27.04.2018

ბრძანება N 1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29[1] მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 23[3] მუხლის მე-4 პუნქტის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების მე 6 მუხლის მე-7 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი N 6-ის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 1 მაისიდან დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის, ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად (ვადიან მთავარ მეცნიერითანამშრომლად - 10 წლით) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ჩუხუა.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ინსტიტუტის დირექტორი ნანა მაჭავარიანი